# ძლიერი საქართველო

ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის

## საარჩევნო გეგმა

# 9

## ილიას გზა

**რატომ ილიას გზა?**

ილია ჭავჭავაძე არის საქართველოს ისტორიაში ფიგურა, რომლის აზრები და სახელმწიფოებრივი ხედვა საუკუნის შემდეგაც თანამედროვეობის შესატყვისი და უაღრესად აქტუალურია. ილია არის საზოგადო მოღვაწე, ვისი თვალსაწიერიც სწვდება ყველაფერს, რასაც სახელმწიფოს დაფუძნებისა და მშენებლობისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს.

ილია არის არა მხოლოდ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე და ეროვნულ-სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებისთვის იდეური მებრძოლი, არამედ ქართული სკოლებისა და პირველი საზოგადოებრივი ორგანიზაციის - „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთი დამაარსებელი, რამაც საქართველო აშკარა რუსიფიკაციას გადაარჩინა; ილია, თანამოაზრეებთან ერთად, არის პირველი საფინანსო ინსტიტუტის - საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელი საქართველოში; ილია არის თანასწორობის იდეის მქადაგებელი და სასამართლო სისტემის საძირკვლის ჩამყრელი და თავადაც მოსამართლე.

ილიას აზრი და ქმედება სწვდება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან ყველა სფეროს - განათლებას, კულტურას, ეკონომიკას, თვითმმართველობას, თანასწორობის იდეას, ქალთა უფლებებს, სამოქალაქო აქტივიზმს. ილიამ დაგვიტოვა ეროვნული თვითმყოფადობის განმსაზღვრელი ფორმულა - „მამული, ენა, სარწმუნოება“ და, ამავდროულად, ილიას თაობამ შემოიტანა საქართველოში მოდერნული, ევროპული იდეები და განსაზღვრა დამოუკიდებელი საქართველოს სამომავლო გეზი. დღეს ჩვენ კვლავ ილიას გზას ვადგავართ და ილიას იდეებზე დაფუძნებული სახელმწიფოს შექმნას ვესწრაფვით.

**რატომ “მარშალის გეგმა”?**

საქართველო „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში მძიმე რეალობის წინაშე აღმოჩნდა. მოსახლეობა შეუქცევადად ღატაკდება, ათასობით ჩვენი თანამოქალაქე ოჯახებით ტოვებს ქვეყანას და უცხოეთში მიდის საცხოვრებლად. მმართველი ძალის დანაშაულებრივმა პოლიტიკამ სრულად შეაჩერა ევროინტეგრაციის პროცესი და საქართველო რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფ, სუსტ, დაუცველ, უპერსპექტივო ქვეყნად აქცია. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, საქართველოს სასიცოცხლოდ სჭირდება სისტემური რეფორმები და ინოვაციური გადაწყვეტილებები სწრაფი ეკონომიკური ზრდისთვის.

ჩვენს სამოქმედო პროგრამას **მარშალის გეგმა** ჰქვია. გასულ საუკუნეში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპის რეკონსტრუქციის გეგმამ (**„მარშალის გეგმა“**) ევროპის ქვეყნები გადაარჩინა სიღატაკეს, შიმშილს და არნახული ეკონომიკური ზრდა მოიტანა; **მარშალის გეგმამ** ევროპა საბჭოთა კავშირის აგრესიული გავლენის გავრცელებისგან იხსნა და ევროპული ერთიანობის დაწყება განაპირობა, რამაც ევროპული ქვეყნების ხანგრძლივი, სტაბილური და დემოკრატიული განვითარების საფუძველი შექმნა.

ჩვენი **მარშალის გეგმაც** სწორედ მსგავსი გამოწვევების გადაჭრას ისახავს მიზნად - საქართველოს ეკონომიკის სწრაფ ზრდას, რუსეთის გავლენის გაძლიერებისაგან დაცვას და სწრაფ ევროინტეგრაციას მშვიდობისთვის, დემოკრატიისთვის, კეთილდღეობისთვის. **მარშალის გეგმა** არის სწრაფი ეკონომიკური აღმავლობა, მაღალი პენსიები, ღირსეული სამუშაო ადგილები, დიდი ინფრასტრუქტურული პროექტების სწრაფი განვითარება, როგორიცაა ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი და ანაკლიის ქალაქი, ქუთაისის ლოჯისტიკური ჰაბი და ბევრი სხვა ინოვაციური პროექტი. **მარშალის გეგმა** არის მილიარდობით ინვესტიცია ქართულ ეკონომიკაში, რაც ქვეყანას  რეგიონის ლიდერად აქცევს.

*ილიას გზით, მარშალის გეგმით!*

# ძლიერი საქართველო

## *მიმართვა თანამოქალაქეებს*

საქართველო მწვავე კრიზისის წინაშე დგას. ჩვენ ვკარგავთ სახელმწიფოს. ვკარგავთ უკეთესი ცხოვრების პერსპექტივას. უმუშევრობა, მაღალი ფასები, ინფლაცია ჩვენი მოქალაქეების ყოველდღიურობას გაუსაძლისს ხდის. ჩვენ ვკარგავთ ახალგაზრდებს, ისინი ტოვებენ საქართველოს და უკეთესი შესაძლებლობებისთვის უცხოეთში მიდიან. ყველაზე მძიმე კი ის არის, რომ ჩვენ ვკარგავთ ქვეყანას, რადგან გვყავს ხელისუფლება, რომელიც ემსახურება რუსეთს და არა საქართველოს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლება, სამწუხაროდ, საქართველოზე წინ მუდმივად რუსეთის ინტერესს აყენებს. მმართველმა ძალამ ე.წ. „რუსული კანონის" მიღებით ზურგი აქცია ქართველი ხალხის ისტორიულ არჩევანს და საქართველოს ევროპული ინტეგრაციისკენ გზა ჩაუხერგა. ბიძინა ივანიშვილი მოსკოვში გამდიდრდა, ის რუსი ოლიგარქია და მისთვის რუსეთი ბუნებრივი სივრცეა. მისმა მთავრობამ კარი გაუხსნა რუსების მასობრივ შემოდინებას საქართველოში. ხელისუფლებამ „რუსული კანონის“ მისაღებად მშვიდობიანი აქციის მონაწილეები დაარბია, დააჯარიმა, დაიჭირა. მოძალადე ჯგუფები სასტიკად უსწორდებოდნენ აქტივისტებს. „ქართული ოცნების" პოლიტიკა დიდი ხანია არა ქართველი ხალხის, არამედ კრემლის ინტერესს ატარებს.

ჩვენ უნდა დავასრულოთ ხელისუფლება, რომელიც ემსახურება რუსეთს! ასევე, არ უნდა დავუშვათ იმ ლიდერების ხელისუფლებაში დაბრუნება, რომლებიც წარსულში უხეშად არღვევდნენ ჩვენი თანამოქალაქეების უფლებებს. 20 წელია საქართველოს მხოლოდ ორი პარტია მართავს; ორივემ ბოროტად გამოიყენა ძალაუფლება და ხალხს იმედი გაუცრუა.

ახლა უკვე არსებობს რეალური ალტერნატივა - **ძლიერი საქართველო!** „ლელოს“, „ხალხისთვის“, „თავისუფლების მოედნის“ და „მოქალაქეების“ ერთობა არის ახალი ძალა ახალგაზრდა, სუფთა წარსულის და პროფესიული გამოცდილების მქონე წარმატებული ლიდერებითა და გაბედული იდეებით, ძლიერი საქართველოს შესაქმნელად.

წარმოგიდგენთ „ძლიერი საქართველოს" სამოქმედო გეგმას - **„ილიას გზა“**, რომელიც დაფუძნებულია ილია ჭავჭავაძის მარად თანამედროვე და აქტუალურ ხედვაზე, როგორ გამყარდეს ქართული სახელმწიფოს ფუნდამენტი და მასზე აშენდეს ახალი, ძლიერი, თვითმყოფადი და წარმატებული საქართველო. ეს გეგმა დეტალურად აღწერს ჩვენს ვალდებულებებს, რასაც ვიღებთ ქართველი ხალხის წინაშე ყველა სფეროში - დასაქმება, ხელმისაწვდომი ფასები, ხარისხიანი ჯანდაცვა, მაღალი სტანდარტის ევროპული განათლება, ექსპორტზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობა, დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა და სხვა. ჩვენ უნდა შევქმნათ კანონის უზენაესობაზე დაფუძნებული თანამედროვე სახელმწიფო ძლიერი საშუალო ფენით, რომელიც იქნება რეგიონის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი.

9 ძლიერი საქართველო
ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის

# უპირველეს ყოვლისა, ეს დოკუმენტი მოიცავს „ძლიერი საქართველოს” სამ მთავარ დაპირებას:

## ევროკავშირის წევრობა და ევროპული მომავალი

**ძლიერ საქართველოს** აქვს დეტალური გეგმა, რომელიც საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებას მოკლე დროში უზრუნველყოფს. ჩვენი გეგმით ევროკავშირის 9 რეკომენდაცია სწრაფად შესრულდება. საქართველო გახსნის და ეფექტურად განახორციელებს მოლაპარაკებებს ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე. საქართველო იქნება ევროკავშირის გაფართოების ტალღის ლიდერი ქვეყანა. ჩვენ ხელი მოვაწერეთ პრეზიდენტის „ქართულ ქარტიას”, რომელიც სწორედ ამ მიზნისკენ მიმართულ მრავალპარტიულ შეთანხმებას წარმოადგენს. საქართველოს მოქალაქეები გაწევრიანების პროცესშივე იგრძნობენ ევროკავშირის ხელშესახებ სიკეთეებს.

## 200 000 სამუშაო ადგილი და შრომის სამართლიანი ანაზღაურება

„ქართული ოცნების“ პირობებში, საქართველოს 200 000-ით ნაკლები სამუშაო ადგილი აქვს, ვიდრე უნდა ჰქონოდა ნორმალური დასაქმების პოლიტიკის პირობებში. „ძლიერი საქართველო“ შექმნის 200 000 ახალ სამუშაო ადგილს ანაკლიის და სხვა მსგავსი მეგაპროექტების განხორციელებით, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ დაბლოკა. ჩვენ გპირდებით უკეთესი ინფრასტრუქტურის შექმნას ევროპული ტიპის „მწვანე მშენებლობის“ სტანდარტებით; გპირდებით ანაზღაურებად სტაჟირებას ყველა კურსდამთავრებულისთვის, ვისაც ამის სურვილი ექნება.

ასევე, **ძლიერი საქართველო,** დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში პირველად, დაადგენს სამართლიანი ანაზღაურების სტანდარტს. საარსებო მინიმუმის ახალი მოდელით გაანგარიშების შემდეგ, დადგინდება მინიმალური ხელფასის ოდენობა, რომელიც იქნება სამართლიანი ყველა დასაქმებულთან მიმართებაში. შრომის სამართლიანი ანაზღაურება არის ღირსეული ცხოვრების აუცილებელი წინაპირობა.

## *1000 ლარი პენსია*

**ძლიერი საქართველო** გაზრდის მინიმალურ პენსიას 1000 ლარამდე და ყოველწლიურად დაარეგულირებს მას ინფლაციის შესაბამისად, რათა ჩვენი საზოგადოების ხანდაზმულმა წევრებმა ღირსეულად იცხოვრონ.

ვიმედოვნებთ, დროს დაუთმობთ და გაეცნობით **ძლიერი საქართველოს** სამოქმედო გეგმას - **„ილიას გზა“** და შემოგვიერთდებით ჩვენ და ათასობით სხვა თანამოქალაქეს გადამწყვეტ ბრძოლაში, რომელიც წინ გველოდება. პრორუსული ხელისუფლების გაშვება და მისი ჩანაცვლება ახალი, წესიერი და გონიერი ძალებით აუცილებელია ძლიერი, დაცული და წარმატებული საქართველოს ასაშენებლად!

***ერთად ვიშრომოთ ძლიერი საქართველოსთვის!***

***მამუკა ხაზარაძე***

***ანა ღოღიძე***

***ლევან ცუცქირიძე***

***აღეკო ელისაშვილი***

# პრიორიტეტი #1

## ევროპული მომავლის უზრუნველყოფა და რუსული გავლენის შემცირება

**ძლიერ საქართველოს** სჯერა, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალი ევროპაშია. „ქართული ოცნების“ მთავრობა ცდილობდა, დაებლოკა საქართველოს ევროპული გზა რუსი ემიგრანტების მასობრივი შემოდინებით, „რუსული კანონის“ მიღებით, ევროკავშირის სტანდარტების დარღვევით არჩევნებთან თუ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით და კრემლისთვის ვეტოს უფლების მიცემით ყველაფერზე, დაწყებული ანაკლიის პროექტიდან ჩვენს საგარეო პოლიტიკამდე. ევროკომისიამ განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ ქმედებები არღვევს „ევროკავშირის ძირითად პრინციპებსა და ღირებულებებს“, აშორებს საქართველოს ევროკავშირის წევრობას. „ქართული ოცნების“ პირობებში საქართველო ჩამორჩა უკრაინასა და მოლდოვას ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე.

**ძლიერი საქართველოს** უპირველესი პრიორიტეტია, დაასრულოს „ქართული ოცნების“ მოღალატეობრივი მორჩილება რუსეთის მიმართ და სწრაფად წაიყვანოს საქართველო ევროკავშირის წევრობისა და ევროპული მომავლისკენ. ევროპული არჩევანი ეროვნული არჩევანია!

**ძლიერ საქართველოს** აქვს 9 პუნქტიანი გეგმა, რომლითაც ჩვენი ქვეყანა სწრაფად დააკმაყოფილებს ევროკომისიისგან დაწესებულ მოთხოვნებს, რათა საქართველომ ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი დაიწყოს. ჩვენ გავაუქმებთ ე.წ. „რუსულ კანონს“, რომელიც გახდა ევროინტეგრაციის მთავარი შემაფერხებელი ფაქტორი.

ჩვენ განვახორციელებთ სასამართლო და საარჩევნო სისტემების რეფორმას ევროპული სტანდარტების მიხედვით და „პრეზიდენტის ქარტიის" შესაბამისად, რომელსაც ოპოზიციურმა პარტიებმა მოვაწერეთ ხელი. ჩვენ აღმოვფხვრით კორუფციას და მოხდება ჩვენი პოლიტიკური სისტემის დეოლიგარქიზაცია. ჩვენ მოვარგებთ საქართველოს საგარეო პოლიტიკას ევროპულ მიზნებსა და ამოცანებს.

**ძლიერი საქართველო** ასევე შეაჩერებს რუსების მასობრივ შემოდინებასა და კრემლის გავლენას ჩვენს ქვეყანაში, რასაც „ქართულმა ოცნებამ" შეუწყო ხელი. „ქართულმა ოცნებამ" დაუშვა რუსი ემიგრანტების  უკონტროლო შემოსვლა, რომლებმაც იყიდეს მიწები და უძრავი ქონება, გახსნეს ბიზნესები და გაზარდეს ფასები, ჩვენი ქალაქები გაივსო რუსებით  და სამუშაო ადგილებზეც ბევრგან ჩაანაცვლეს ქართველები. ამ უკონტროლო ვითარებას დაასრულებს ჩვენ მიერ მომზადებული **„საქართველოს დაცვის აქტი"**, რომელიც:

1. ***აღადგენს სავიზო ხეგუღაციებს ხუსეთის მოქაღაქეებისთვის; ღაიცავს სამუშაო ადგიღებს საქაჰთვეღოს მოქაღაქეებისთვის;***

2. ***გადადგამს ნაბიჯებს ხუსეთის მზაჰდი პოღიტიკუჰი, თუ ეკონომიკუჰი გავღენის აღსაკვეთად; გამოსცემს სათანადო აქტებს საქაჰთვეღოს მოქაღაქეების ინტეჰესების და ქაჰთუღი სახეღმწიფოს უსაფჰთხოების ღასაცავად; შეზღუდავს ხუსუღი „ჰბიღი ძაღის" მოქმეღებას საქაჰთვეღოში;***

3. ***განახოჰციეღებს უკჰაინაში ხუსეთის აგჰესიის წინააღმდეგ ევჰოკავშიჰის მიეჰ მიღებუღ ზომებთან ქვეყნის პოღიტიკის სინქჰონიზაციას.***

**ძლიერ საქართველოს** სჯერა, რომ ქართველი ხალხი იმსახურებს ნამდვილ ევროპულ ცხოვრებას, რაც ნიშნავს მეტ სამუშაო ადგილს, უკეთეს ხელფასს, მაღალ პენსიებს, თანამედროვე ჯანდაცვას, ძლიერ სკოლებს, სუფთა გარემოს, ღირსებისა და ფუნდამენტური უფლებების გარანტირებულად დაცვას. **ძლიერი საქართველო** აქვს კონკრეტული გეგმა, რომელიც ჩვენს ქვეყანას ამ მომავლისკენ წაიყვანს - სწრაფად, სტაბილურად და შეუქცევადად.

# პრიორიტეტი #2

## *200 000 სამუშაო ადგილის შექმნა; მინიმალური სამახთლიანი ანაზღაურება დასაქმებულთათვის*

„ქართული ოცნების“ მიერ გატარებულმა პოლიტიკამ ჩვენს ქვეყანას და ხალხს დაუკარგა სამუშაო ადგილები, რომელიც ძალიან გვჭირდება ეკონომიკური ზრდისა და ჩვენი ახალგაზრდებისთვის ღირსეული მომავლის უზრუნველსაყოფად. ბიძინა ივანიშვილი, სხვა მრავალ დაპირებასთან ერთად, გვპირდებოდა 100 ახალი ქარხნის ამუშავებას; თუმცა, დაპირება არ შეასრულა და შედეგიც თვალსაჩინოა ჩვენს გაღარიბებულ და ხალხისგან დაცლილ ქალაქებსა თუ სოფლებში. საქართველოს დღეს 200 000-ით ნაკლები სამუშაო ადგილი აქვს, ვიდრე უნდა ჰქონოდა, თუკი „ქართული ოცნება“ ჩვენი ტიპის ქვეყნების დასაქმების მაჩვენებელს მიაღწევდა.

**ძლიერი საქართველო** აღმოფხვრის „ქართული ოცნების“ მიერ ხელიდან გაშვებული 200 000 სამუშაო ადგილის დანაკლისს. ჩვენ მიერ გაწერილი დეტალური გეგმით შევქმნით სამართლიანად ანაზღაურებად სამუშაო ადგილებს და ახალგაზრდებისთვის დასაქმების ახალ შესაძლებლობებს.

ჩვენ დავასრულებთ ანაკლიას და სხვა მეგაპროექტებს. ჩვენი დასაქმების გეგმის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯ არის ანაკლიაში ღრმაწყლოვანი პორტის სწრაფად მშენებლობა. ანაკლიის პორტი და ქალაქი ანაკლია  შექმნის ათიათასობით ახალ სამუშაო ადგილს. „ქართული ოცნების“ მთავრობამ მიზანმიმართულად გააჭიანურა და შეაჩერა ეს პროექტი პუტინის მოთხოვნების და ივანიშვილის პირადი პოლიტიკური ინტერესების დასაკმაყოფილებლად. **ძლიერი საქართველო განაახლებს ანაკლიის პროექტს და ოთხი წლის განმავლობაში დაასრულებს მას.**

ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ ანაკლიაში შექმნილ სამუშაო ადგილებზე, უმეტესწილად, საქართველოს მოქალაქეები დასაქმდნენ. ანაკლიის გარდა, **ძლიერი საქართველო** წამოიწყებს და დაასრულებს სხვა დიდ ეკონომიკურ თუ შედარებით მცირე პროექტებს მთელი ქვეყნის მასშტაბით, რაც შექმნის სამუშაო ადგილებს და ახალ შესაძლებლობებს ჩვენი თანამოქალაქეებისთვის, მათ შორის:

- **ლოჯისტიკური და ფინანსური ცენტრი ქუთაისში;**
- **თანამედროვე IT სკოლები ყველა რეგიონში;**
  *(ოოგოოიც ეს გაკეთდა წაღენჯიხაში).*
- **ახალი ტურისტული მიმართულებების განვითარება ისეთ რეგიონებში, როგორიცაა - სვანეთი, ხევსურეთი და თუშეთი.**

**“მწვანე”, ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისი სამშენებლო ტექნოლოგიები**. ჩვენი მოქალაქეები მძიმედ ზარალდებიან იმით, რომ მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი კორუფციული გადაწყვეტილებებით, ამორტიზებული ტექნიკითა და სტანდარტებთან სრულიად შეუსაბამო ტექნოლოგიებით ხორციელდება. ჩვენ ვნახეთ კორუფციული გარიგებებისა და ცუდი მენეჯმენტის შედეგად დაუსრულებელი აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი საავტომობილო მაგისტრალი; შოვის ტრაგედიამ ნათლად დაგვანახა, თუ რა მძიმე ფასი გადაიხადა ჩვენმა ხალხმა დაცვისა და პრევენციის სისტემების გაუმართაობის, განაშენიანების სტანდარტის არარსებობისა და ხელისუფლების უპასუხისმგებლო, გულგრილი დამოკიდებულების გამო. **ძლიერი საქართველო** მეგაპროექტებს განახორციელებს ადამიანების ინტერესებსა და გარემოზე მორგებული, თანამედროვე, ევროპული „მწვანე“ სამშენებლო პრაქტიკის გამოყენებით, რომელიც გულისხმობს გამჭვირვალე სატენდერო პირობებს და ქართული კომპანიების დახმარებას, რათა ისინი იყვნენ ეფექტიანი, დაიცვან გარემო და უზრუნველყონ ხალხის უსაფრთხოება.

## *ანაზღაურებადი სტაჟირება - პირველი სამსახური ყველა კურსდამთავრებულს*

ჩვენს ახალგაზრდებს ძალიან უჭირთ დასაქმება. ამიტომაც, ბევრი მათგანი ქვეყანას ტოვებს. **ძლიერი საქართველო** ანაზღაურებადი სტაჟირების შესაძლებლობას შექმნის - „პირველი სამუშაო ადგილი" ყველა კურსდამთავრებულისთვის, ვისაც დასაქმების სურვილი ექნება, რათა ახალგაზრდებს სამუშაო გამოცდილებისა და ახალი პროფესიული უნარების შეძენის შესაძლებლობა მიეცეთ. მათ სტაჟირების გავლა შეეძლებათ როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში.

## *მინიმალური სამახთლიანი ანაზღაურება დასაქმებულთათვის*

ადამიანები, რომლებიც შრომობენ, ადეკვატურ ხელფასს იმსახურებენ, რათა იცხოვრონ ღირსეულად. **ძლიერი საქართველო** დამოუკიდებლობის პერიოდში პირველად დაადგენს ღირსეულ და სამართლიანი ანაზღაურების სტანდარტს, რაც იქნება გარანტია იმისა, რომ  დასაქმებულებმა უზრუნველყონ თავიანთი ცხოვრებისეული საჭიროებები.

# პრიორიტეტი #3

## *პენსიების გაზრდა 1000 ლარამდე და ყოველწლიური ზრდა ფასების მატების შესაბამისად*

**ძლიერი საქართველო** ყველა პენსიონერისთვის ღირსეულ და სტაბილურ პენსიას უზრუნველყოფს. მინიმალურ პენსიას 1000 ლარამდე გავზრდით, განაკვეთს კი ყოველწლიურად დავარეგულირებთ ფასების მატების მიხედვით.

საქართველოში 830 000-ზე მეტი პენსიონერია. მათგან, დაახლოებით, 98 000 სოციალურ შემწეობაზეა დამოკიდებული.

„ქართული ოცნების“ მთავრობამ 12-წლიანი მმართველობის განმავლობაში ვერ უზრუნველყო პენსიონერების ადეკვატური მხარდაჭერა. 2013 წლიდან საქართველოში ფასების სწრაფი ზრდა ფიქსირდება, განსაკუთრებით ბოლო ორი წლის განმავლობაში, როდესაც ფასები ორნიშნა რიცხვით გაიზარდა. ფასები კიდევ უფრო სწრაფად იზრდება იმ საკვებსა და მედიკამენტებზე, რომლებიც პენსიონერებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

„ქართულმა ოცნებამ“ ბოლო პერიოდში პენსიები გაზარდა მხოლოდ მათთვის, ვინც სახელისუფლებო სტრუქტურებშია დასაქმებული (ძალოვანები, პარლამენტარები და ა.შ.). სხვა დანარჩენი კი გადარჩენისთვის იბრძვის. თუ პარლამენტარისთვის ან პოლიციელისთვის უფრო მაღალი პენსიაა გარანტირებული, ასე უნდა იყოს მასწავლებლისთვის, ქარხნის მუშისა თუ ფერმერისთვისაც.

**ძლიერი საქართველო** გაზრდის პენსიას და ამას მოქალაქეებზე ორიენტირებული, რეალისტური ბიუჯეტის ფარგლებში გააკეთებს. პენსიის ზრდა სრულად დაფინანსდება, რის საშუალებასაც მოგვცემს **მარშალის გეგმით** გარანტირებული მაღალი ეკონომიკური ზრდა, კორუფციის აღმოფხვრა, ბიუროკრატიული ხარჯების შემცირება, ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტების შეკვეცა და აზარტული თამაშების ინდუსტრიის უფრო მეტად დაბეგვრა.

# მარშალის გეგმა

*ეკონომიკა/ დასაქმება/ სოფლის მეურნეობა/ გარემოს დაცვა/ ტურიზმი/ რეგიონების განვითარება*

## ეკონომიკა

- „ქართული ოცნების“ მმართველობისას ქვეყანაში დაკარგულია 200 000 სამუშაო ადგილი. საქართველოს ზომის ეკონომიკის ქვეყანაში, თითო სამუშაო ადგილის შესაქმენლად საჭიროა 30 ათასი დოლარი. 6 მილიარდი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიციით ძლიერი საქართველო ამ დეფიციტს შეავსებს. **ძლიერი საქართველო** უზრუნველყოფს სამართლიან ანაზღაურებას თითოეული მოქალაქისთვის!

- დასრულდება ანაკლიის პორტისა და ქალაქ ანაკლიის მშენებლობა; დაიწყება ინფრასტრუქტურული მეგაპროექტების განხორციელება მთელი ქვეყნის მასშტაბით;

- საქართველოში კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის ჩამოყალიბდება საერთაშორისო საფონდო ბირჟა, რომელიც ბანკებისგან ალტერნატიული დაფინანსების წყაროს უზრუნველყოფს.

## *მახშაღის გეგმის ეკონომიკური მიზნების მისაღწევად აუცილებელი პირობები:*

### 1 ბიზნესგარემოს გაუმჯობესება

ბიზნესგარემოს გასაუმჯობესებლად მთავრობამ უნდა უზრუნველყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა, კერძო სექტორის პროდუქტიულობის გაზრდა, მაქსიმალური გამჭვირვალობის შექმნა და ფინანსურ რესურსზე ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვანი ზრდა.

### 2 შრომის ბაზრის განვითარება

2021-22 წლებში საქართველოდან ემიგრაციაში 224 000 ადამიანი წავიდა. მათი უმრავლესობა შრომისუნარიანი და მაღალკვალიფიციური უნარების მქონეა. შედეგად, საქართველოს შრომის ბაზარზე კვალიფიციური მუშახელის ოდენობა შემცირდა. შრომის სრულფასოვანი ბაზრის ჩამოყალიბება და განვითარება განაპირობებს დასაქმებულთა მუდმივ განვითარებას, კონკურენტუნარიანობისა და პროდუქტიულობის ზრდას. სრულფასოვანი შრომის ბაზრის ხელშეწყობისათვის კოალიცია განათლების ფუნდამენტურ რეფორმას გაატარებს და ბაზრის მოთხოვნებს მოარგებს.

### 3 ინოვაციების ხელშეწყობა

ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ძლიერი საქართველოს მიზანია ინოვაციებზე ორიენტირება და, ტრადიციულ კონკურენტულ უპირატესობებთან ერთად, ინტელექტუალური და სამეწარმეო კონკურენტულობის ზრდა.

საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთ დარგში ინოვაციების ნაკლებობა დაბალ პროდუქტიულობას და, შესაბამისად, წარმოებული პროდუქციის დაბალ კონკურენტუნარიანობას იწვევს.

განათლების ფუნდამენტურ რეფორმასთან ერთად, მნიშვნელოვანია ახალგაზრდებში ინოვაციური აზროვნების წახალისება და მცირე ასაკიდანვე კოდირებისა და რობოტიკის სწავლება.

## 4 კაპიტალის ბაზრის განვითარება

საქართველო გახდება რეგიონის ფინანსური ცენტრი. ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი ზრდა პირდაპირ არის დაკავშირებული განვითარებულ კაპიტალის ბაზართან, რომელიც დღეს  საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს. კაპიტალის ბაზრის რეფორმით, საქართველო გახდება ფინანსური ცენტრი ძლიერი საფონდო ბირჟით, რაც ქვეყანაში გააჩენს გრძელვადიან საინვესტიციო ფულს და ახალ სამუშაო ადგილებს. საქართველოს საფონდო ბირჟა იმუშავებს ლონდონის საფონდო ბირჟასთან პარტნიორობით.

## 5 ქმედითი არბიტრაჟის დაფუძნება

საქართველოში მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრობლემების ფონზე, მნიშვნელოვანია, ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოსთან თანამშრომლობით, არბიტრაჟის შექმნა. ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოსთან ამ ტიპის თანამშრომლობის მაგალითები უკვე არსებობს ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთში.

## *მცირე და საშუალო ბიზნესისთვის*

- შეიქმნება 3-მილიარდიანი საგარანტიო ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნესის გრძელვადიანი და შეღავათიანი ფინანსური რესურსებით მხარდაჭერას;
- შეიქმნება 2-მილიარდიანი სპეციალური საინვესტიციო ფონდი სახელმწიფო და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მონაწილეობით მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისთვის;
- შეიქმნება ინოვაციების სპეციალური საინვესტიციო ფონდი, სადაც მოზიდული იქნება სახსრები 1 მილიარდის ოდენობით და ინვესტირებას მოახდენს ახალ ტექნოლოგიებში.

# რეგიონული პროექტები და ინფრასტრუქტურის განვითარება

***ანაკლიის პორტი*** - **მარშალის გეგმის** თანახმად, ანაკლიის პორტსა და ქალაქ ანაკლიის სპეციალურ ეკონომიკურ ზონაში 16 ათასი სამუშაო ადგილი შეიქმნება. შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების და იაპონური ინვესტიციებით სპეციალურ ეკონომიკურ ზონაში მაღატექნოლოგიური პროდუქციის წარმოება დაიწყება.

***ქუთაისი - ლოჯისტიკური და ფინანსური ჰაბი,*** სადაც დაფუძნდება საერთაშორისო საფონდო ბირჟა. აეროპორტის გარშემო მოეწყობა საერთაშორისო მასშტაბის ლოჯისტიკური ცენტრი. განვითარდება სატვირთო გადაზიდვების ეფექტური სისტემა.

***ბათუმი - საზღვაო ინდუსტრიისა და ტურიზმის ცენტრი,*** სადაც ქართული სანაოსნო შეიქმნება.

***კახეთი - ტურიზმის 4 სეზონი.*** მსოფლიოში რეგისტრირებული 50 მლნ ღვინის ტურისტი წელიწადში 30 მლრდ დოლარს ხარჯავს. აქედან, მხოლოდ 1%-ის მოზიდვით ღვინის ტურიზმიდან კახეთს 1 მლრდ. ლარის სარგებელი ექნება, რაც 10 000 ლარი დამატებითი შემოსავალი იქნება ყველა გლეხისთვის.

***ქართული - აგრო და ბიოწარმოების ცენტრი.*** **ძლიერი საქართველოს** ამოცანაა 1 მლრდ დოლარის პროდუქციის ექსპორტზე გატანა, სახელმწიფო კი ფინანსურ დახმარებას გაუწევს აგრო და ბიოწარმოებას.

***ჰაჭა*** - საერთაშორისო საგანმანათლებლო სკოლა-კამპუსების ცენტრისა და ენების, ინფორმაციული ტექნოლოგიების, საერთაშორისო სკოლების ინფრასტრუქტურების შექმნა.

# სოფლის მეურნეობა

- **ფერმერული მეურნეობების გამსხვილების გზით მოქალაქეების რესურსების გაერთიანება და მათი შემოსავლის გაზრდა;**
- **ბუნებრივ რესურსებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გაზრდა;**
- **სოფლის მეურნეობის იმპორტირებულ პროდუქციაზე დამოკიდებულების შემცირება და ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა.**

დღეს სოფლის მეურნეობა ბიზნესი არ არის. სოფლის მეურნეობა შემოსავლის წყაროდ უნდა იქცეს! სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგი ძალიან დაბალი პროდუქტიულობით გამოირჩევა. ამის მიზეზი კი, გარდა მცირე მიწიანობისა, არის ცოდნის ნაკლებობა, არასწორი სელექცია, საექსპორტო პროდუქციის ევროპულ სტანდარტებთან შეუსაბამობა.

სოფლის მეურნეობის თანამედროვე სტანდარტით განვითარებისა და შემოსავლის წყაროდ ქცევისთვის აუცილებელ პირობად მიგვაჩნია:

- **კოოპერაციის გზით რესურსების გაერთიანების ხელშეწყობა და მენეჯერული საკითხების საერთო ძალისხმევით მოგვარება;**
- **სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული აქტივების მოქალაქეებისთვის გადაცემა;**
- **იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება, ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა და ეკოლოგიურად უსაფრთხო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება.**

# ტურიზმი

**საქართველო - ტურისტულად მიმზიდველი ქვეყანა წლის ყველა სეზონზე, რაც მოიცავს:**

- გასტრონომიულ და ღვინის ტურიზმს; საფესტივალო, სამთო-სათხილამურო და საცხენოსნო ტურიზმის განვითარებას; კულტურული, ისტორიული, შემეცნებითი, ასევე, სამედიცინო და ბალნეოლოგიური ტურიზმის ხელშეწყობას;
- ყველა რეგიონში შესაბამისი სეგმენტის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- შიდა მცირე ავიაციის განვითარებას.

# ტრანსპორტი და კომუნიკაცია

- საქართველო გახდება აბრეშუმის გზის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც მოიცავს ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და სატელეკომუნიკაციო (ციფრულ) დერეფანს;
- საქართველო გახდება საჰაერო-სატვირთო გადაზიდვების ჰაბი; ჩვენ გავაძლიერებთ ეროვნულ სამგზავრო და სატვირთო ავიაგადამზიდებს;
- ჩვენ განვავითარებთ ჩქაროსნულ რკინიგზას (ბაქო-ბათუმი; ერევანი-ბათუმი).



# გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილება და ეკოლოგიური უსაფრთხოება

- **ბუნებრივი საფრთხეებითა და ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფების** (ანთროპოგენური) რისკების შემცირება, პრევენცია და კლიმატის ცვლილებებისადმი მედეგი საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა სახელმწიფოს პრიორიტეტული ამოცანა გახდება;

- **„მწვანე“ პოლიტიკის გატარება იქნება სავალდებულო** ყველა დონის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ამასთან, შესაძლებელი გახდება, რომ საქართველო იქცეს ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქტის მწარმოებელ ქვეყნად. საქართველოს ეკონომიკა განვითარდება მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად;

- **გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სამინისტრო** - ამ სახელწოდებით ჩამოყალიბდება ცალკე უწყება და ის რეალურად ჩადგება გარემოს, ჩვენი მოსახლეობისა და მომავალი თაობების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის სამსახურში. საქართველოს დაცული ტერიტორიების გაფართოება, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება, ნარჩენების სწორი მართვა, წყლის, ნიადაგის, ჰაერის სისუფთავე და ხარისხის მკაცრი კონტროლი - სამინისტრო სწორედ ამ მიზნებს მოემსახურება.

# საგარეო პოლიტიკა

- გრძელვადიანი მშვიდობის და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად საქართველო სწრაფად გაწევრიანდება ევროკავშირში. მშვიდობა განმტკიცდება უსაფრთხოების გარანტორთა მოდელის შექმნით და ნატოში გაწევრიანებით. საქართველო ისარგებლებს იმ სიკეთეებით, რომლებიც გაწევრიანებამდე არის ხელმისაწვდომი, მათ შორის: გამარტივებული გადარიცხვების სისტემა ემიგრანტებისთვის, მეტი გაცვლითი პროგრამები სტუდენტებისთვის და გაწევრიანების ფონდების მოზიდვა საქართველოს ყველა მოქალაქის საკეთილდღეოდ;

- საქართველო გახდება ევროპისა და აზიის შემაკავშირებელი ეკონომიკური ხიდი. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შედეგად განვითარდება მსხვილი, გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტები. საქართველო იქნება გლობალური მომარაგების ჯაჭვების მნიშვნელოვანი კვანძი და მისი გრძელვადიანი მშვიდობიანი განვითარება გლობალური აქტორების უშუალო ეკონომიკური ინტერესი გახდება;

- საგარეო ვაჭრობა გაორმაგდება. საქართველო ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების პოტენციალს ეფექტურად გამოიყენებს. საქართველოს ექნება უვიზო მიმოსვლა ამერიკის შეერთებულ შტატებთან. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები დაიდება აშშ-სთან, იაპონიასთან, სამხრეთ კორეასთან და ბრაზილიასთან. საქართველოს მეზობლებთან არსებული სავაჭრო რეჟიმი შენარჩუნდება. რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულება შემცირდება მხოლოდ სხვა პარტნიორებთან სავაჭრო ბრუნვის ზრდით და ადამიანებისთვის უკეთესი სავაჭრო ალტერნატივების შეთავაზებით.

# კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება და დეოკუპაცია

- ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის განათლებისა და დასაქმების უკეთესი ალტერნატივის გაჩენა, ვიდრე მათ ოკუპანტი რუსეთი სთავაზობს. ევროკავშირის წევრობის კანდიდატობითა და ვიზალიბერალიზაციით, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შედეგად გაჩენილ შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა;

- საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მცხოვრები მოქალაქეებისთვის თავისუფალი ეკონომიკური და სავაჭრო ზონების შექმნა. მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობა. საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს სავაჭრო-სამეწარმეო ურთიერთობების წახალისება;

- საოკუპაციო გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობისთვის უსაფრთხოების მექანიზმების შექმნა (მათ შორის, ვიდეო-სათვალთვალო სისტემების მონტაჟი).

# ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა

- ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს რეფორმირება და სისტემური გაძლიერება;

- თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის საპარლამენტო და სამოქალაქო კონტროლის ხარისხობრივი გაუმჯობესება;

- ნატოს საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებული ეროვნული უსაფრთხოების სისტემა (გათვალისწინებული იქნება საქართველოს ადგილმდებარეობა, საყოველთაო და სპეციფიკური რისკები, ოკუპაცია და ქვეყნის წინაშე არსებული სხვა გამოწვევები).

# ეროვნული თავდაცვა

- თავდაცვის მოდელზე, მისი რესურსებით უზრუნველყოფისა და განვითარების საკითხებზე ფართო საზოგადოებრივი კონსენსუსის მისაღწევად, საქართველოს პარლამენტში შეიქმნება კომისია, რომელიც შეიმუშავებს პოლიტიკურ მითითებებს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსა და თავდაცვის სამინისტროსთვის ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების შექმნის თაობაზე;

- გაღრმავდება პოლიტიკური დიალოგი და პრაქტიკული თანამშრომლობა ნატოსთან საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში სწრაფი გაწევრიანებისა და თავსებადობის უზრუნველსაყოფად. შეკავების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით, დაიწყება დიალოგი პარტნიორებთან, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებულ შტატებთან, თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის ისეთი ეფექტური მექანიზმების შესაქმნელად, როგორიცაა ერთობლივი წვრთნები, როტაციული ძალები და ა.შ.

- თავდაცვითი შეიარაღების ახალი სისტემების გრძელვადიანი შესყიდვების განხორციელება. ეროვნული გვარდიის ბაზაზე შეიქმნება ტერიტორიული თავდაცვის ძალები მთელი ქვეყნის მასშტაბით და მოხდება მოხალისეთა ორგანიზაციების ერთიან ოპერატიულ სურათში ინტეგრირება.

# სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის რეფორმა

- ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დეპოლიტიზება და რეორგანიზაცია. უსაფრთხო გარემოში ცხოვრების უზრუნველყოფა, სახელმწიფოსა და თითოეული მოქალაქის ინტერესების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ძლიერი ინსტიტუციის შექმნას, რომელიც იქნება სახელმწიფოს და არა მმართველი პარტიის სამსახურში;

- სუს-ს უნდა ჩამოერთვას კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენის და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელების უფლება. შეიქმნება საგამოძიებო ფუნქციით აღჭურვილი დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო - ეროვნული ანტიკორუფციული სააგენტო, რომელიც ანგარიშვალდებული იქნება პარლამენტის წინაშე და მისი გადაწყვეტილებები გახდება საჯარო;

- ქვეყანაში უნდა დასრულდეს უკანონო მოსმენები და თვალთვალი. ჩვენ მხარს ვუჭერთ „ლუსტრაციის კანონის" მიღებას. სახელმწიფო უსაფრთხოების სისტემაში დასანიშნი ნებისმიერი კანდიდატი უნდა დაექვემდებაროს „ლუსტრაციის კანონით" დადგენილ მოთხოვნებს.

## კრიზისებზე რეაგირების სისტემა

- ნატოს ვარშავის 2016 წლის სამიტის რეკომენდაციების შესაბამისად, შეიქმნება სამოქალაქო მზადყოფნის (Civil preparedness) სისტემა, რომელმაც უნდა უპასუხოს როგორც ბუნებრივი, ისე ადამიანური ფაქტორებით გამოწვეული კატასტროფების მართვას;

- ადგილობრივ თვითმმართველობებში შეიქმნება გეოლოგიური სამსახურები, რომლებიც შეაფასებენ სტიქიური კატასტროფების რისკებს და დანერგავენ ზიანის პრევენციის სისტემებს;

- მოხდება სამშენებლო სტანდარტების გამკაცრება, უსაფრთხოების პრინციპების, მონიტორინგისა და კონტროლის მკაცრი სისტემის გათვალისწინებით.

# ვეტერანები

- მოხდება ვეტერანი უფროსი ოფიცრების გამოცდილების გათვალისწინება თავდაცვის პოლიტიკის შექმნისა და განხორციელების პროცესში;
- ვეტერანთა საყოფაცხოვრებო სუბსიდია გაუტოლდება საარსებო მინიმუმს და ვეტერანის წლიური შემოსავალი 9000 ლარამდე გათავისუფლდება საშემოსავლო გადასახადისგან;
- შეიქმნება „ვეტერანთა სახლები“, რაც გულისხმობს პრინციპს - არცერთი ვეტერანი საცხოვრისის გარეშე.

# ჯანდაცვა

***მთავარი ამოცანა - ხანგრძლივი და ჯანმრთელი სიცოცხლე!***

- საქართველოს ყველა მოქალაქე უნდა იყოს უზრუნველყოფილი სრულყოფილი, ხარისხიანი, დროული სამედიცინო დახმარებით. ყველა მოქალაქეს უნდა ჰყავდეს კვალიფიციური და მოტივირებული ოჯახის ექიმი როგორც ქალაქში, ასევე სოფლად;
- უწყვეტი განათლების გზით მოხდება სამედიცინო პერსონალის (ექიმები, ექთნები, ლაბორანტები, სამედიცინო სფეროს სხვა მუშაკები) კვალიფიკაციის ამაღლება;
- განხორციელდება ჯანდაცვის სისტემის ადეკვატური დაფინანსების მოდელის დანერგვა; ჯანმრთელობის საკითხების გადაჭრაში სადაზღვევო კომპანიების მონაწილეობის მკვეთრი გაძლიერება; ფარმაცევტული ბაზრის რეფორმა და დემონოპოლიზაცია.

# სოციალური პოლიტიკა

***ადამიანზე მზრუნველი სისტემის შექმნა***

- ჩვენი ძირითადი საზრუნავია, რომ შრომა გახდეს დაფასებული - ნებისმიერმა შრომისუნარიანმა ადამიანმა ღირსეულად იცხოვროს და არ ეშინოდეს მომავლის. სოციალურად დაუცველებისთვის ჩამოყალიბდეს სამართლიანი დახმარების სისტემა;

- ადგილობრივი შრომის ბაზარი გახდება გამჭვირვალე და დინამიკური, რომ ადამიანს არ ეშინოდეს სამსახურის დაკარგვის და ჰქონდეს პროფესიული ზრდისა და გადამზადების შესაძლებლობა;

- პენსია გახდება 1000 ლარი, ნაცვლად დღეს არსებულისა, რაც, თავისი არსით, არა პენსია, არამედ შემწეობაა.

# ემიგრაცია

- ემიგრაციის ერთიანი ეროვნული საინფორმაციო ბაზის შექმნა და რეგისტრაცია  მოსახლეობის საყოველთაო აღწერაში. საარჩევნო უბნების გახსნა და ხმის უფლების უზრუნველყოფა;

- მუდმივმოქმედი საკონსულტაციო საბჭოს შექმნა წარმატებულ ემიგრანტთა, მეცნიერთა და ბიზნესმენთა  მონაწილეობით, ქვეყანაში ინვესტიციების, ცოდნისა და ტექნოლოგიების დანერგვის მიზნით;

- ემიგრაციიდან დაბრუნებული პირებისთვის, ბიზნეს-საქმიანობის დაწყების შემთხვევაში, შეღავათიანი საგადასახადო პირობებისა და სპეციალური იპოთეკური პროგრამების შემუშავება.

# იძულებით გადაადგილებული პირები

- ემიგრაციაში მყოფი დევნილებისთვის გამარტივდება მოქალაქეობის აღდგენის/შენარჩუნების/მინიჭების პროცესი.
- შემუშავდება ხუთწლიანი გეგმა, რომლის შესაბამისად, ყველა დევნილი დაკმაყოფილდება ღირსეული საცხოვრებელი ფართით. 45-ლარიანი შემწეობა გაუთანაბრდება საარსებო მინიმუმს.
- კანონი რესტიტუციის შესახებ შევა ძალაში და დევნილებს დაუკანონდებათ უძრავი ქონება აფხაზეთსა და სამაჩაბლოში (ცხინვალის რეგიონში).

# სამართალდამცავი სისტემა

## დამოუკიდებელი სასამართლო

- მოსამართლეთა კეთილსინდისიერების შემოწმების საგანგებო პროცესის, ე.წ. “ვეტინგის” უზრუნველყოფა;
- საქმეთა სწრაფად განხილვის მიზნით, სასამართლოში ყველა ვაკანსიის შევსება და განხილვის ვადების შემჭიდროვება;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებების შემცირება და მოსამართლეების ე. წ. გადასახლების გაუქმება.



## შინაგან საქმეთა სამინისტრო

- პოლიციის სრული დეპოლიტიზება. პოლიცია უნდა ემსახურებოდეს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და არა მმართველი პარტიის ინტერესებს;
- საზოგადოების ნდობით აღჭურვილი, სამართლიანი და ეფექტური სამართალდამცავი სისტემის ჩამოყალიბება;
- გამოძიების დამოუკიდებელი ბიუროს შექმნა.

## პროკურატურა

- გენერალური პროკურორის არჩევა პარლამენტის 2/3 უმრავლესობით;
- პროკურორთა დამოუკიდებლობის ხარისხის გაზრდა საპროკურორო უფლებამოსილებების განხორციელებისას;
- რეალური საპარლამენტო კონტროლი პროკურატურის საქმიანობაზე.

## კორუფციასთან ბრძოლა

- კორუფციის გამოძიების ფუნქციით აღჭურვილი ეროვნული ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნა;
- კორუფციული გზით მიღებული დაუსაბუთებელი ქონების კონფისკაცია;
- სახელმწიფო შესყიდვების სისტემის ძირეული რეფორმა და ოფშორული კომპანიების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

## სასჯელაღსრულება

- მსჯავრდებულთა რესოციალიზაციაზე ორიენტირებული პენიტენციური სისტემა;
- ვადამდელი გათავისუფლების ობიექტური და გამჭვირვალე მექანიზმი;
- კრიმინალური ავტორიტეტების ინსტიტუტის მოშლა.



## საჯარო სამსახურის რეფორმა

- მოსახლეობისთვის საჯარო სერვისების ხარისხის და ხელმისაწვდომობის გასაზრდელად მმართველობის ყველა სფეროს გაციფრულება, მომსახურების გაუმჯობესება, ადმინისტრაციული ხარჯების შემცირება და გამჭვირვალობა;
- ნეპოტიზმის აღმოფხვრა, საჯარო სამსახურის  დაწყებისა და კარიერული წინსვლის სამართლიანობა და ღიაობა, საჯარო მოხელეებზე პოლიტიკური წნეხის მოხსნა;
- სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია და საჯარო მოხელეების გათავისუფლება კორუფციული რისკების შემცველი საქმიანობისგან.

## რეგიონული პოლიტიკა და თვითმმართველობა

- რეალური დეცენტრალიზაცია, მეტი ფინანსები და უფლებები მუნიციპალიტეტებს, საკრებულოები ხალხისთვის და მოსახლეობის პრიორიტეტებზე მორგებული ადგილობრივი ბიუჯეტები;
- თვითმმართველობის კანონმდებლობისა და მენეჯმენტის ჰარმონიზაცია საუკეთესო ევროპულ სტანდარტებთან;
- ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის რეფორმა მოსახლეობის თვითმმართველობის განხორციელებაში მეტი ჩართულობისთვის; რეგიონების დონეზე მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის სისტემის შექმნა; გუბერნატორის ინსტიტუტის გაუქმება.

# განათლება

***ქართული განათლება = ევროპული განათლებას***

- ხარისხიან განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა სკოლამდელი, სასკოლო, უმაღლესი და პროფესიული განათლების საფეხურებზე;
- სახელისუფლებო და პარტიული წნეხისგან განათლების სისტემის გათავისუფლება რეალური დეცენტრალიზაციით და საზოგადოების თანამონაწილეობით;
- ევროპული სტანდარტის დამკვიდრება ყველასთვის - გამართული ინფრასტრუქტურით, დაფასებული პედაგოგიური პერსონალით, სასკოლო კვების სისტემის შექმნით და სტუდენტური საცხოვრისის უზრუნველყოფით.

# კულტურა

***შემოქმედებითი საქართველო - ძლიერი საქართველო ევროკავშირში***

- ქართული კულტურის ეროვნული სტრატეგიის შემუშავება პროფესიული წრეების ჩართულობით, ინსტიტუციური დამოუკიდებლობის, დაფინანსების გამჭვირვალე მოდელების, საკანონმდებლო გარანტიებისა და აღსრულების მექანიზმების შექმნის საფუძველზე;
- **კულტურა ყველასთვის** - შემოქმედებითი ეკონომიკის სტიმულირებით და კულტურაზე ხელმისაწვდომობის გაზრდით ქვეყნის მასშტაბით;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადარჩენა და სპეციალური სახელმწიფო პროგრამის შექმნა სამეცნიერო წრეების ჩართულობით, მაღალი საერთაშორისო სტანდარტის და ვალდებულებების გათვალისწინებით.

# სპორტი

***საქართველო - ჩემპიონების ქვეყანა***

- მასობრივი სპორტის განვითარება; ხელმისაწვდომი სპორტული კომპლექსები და აუზები ყველა დიდ ქალაქსა და მუნიციპალიტეტში;
- დიდი საფეხბურთო კლუბების აკადემიების გახსნა საქართველოში (წალენჯიხის „იუვენტუსის“ მაგალითზე);
- მოსწავლეებისთვის ცურვის, სამთო-სათხილამურო სპორტის გაკვეთილების დანერგვა; საცხენოსნო და ალპინისტური კლუბების ხელშეწყობა.

# თანასწორობა

***კონსტიტუციიდან ჰეაღობამდე***

- კანონის წინაშე ყველა ადამიანი იქნება თანასწორი;
- არადომინანტური ჯგუფების უფლებები იქნება დაცული;
- კონსტიტუციური თანასწორობა გახდება რეალური.

# შშმ პირები

***საქართველო - ქვეყანა ბარიერების გარეშე***

- შშმ პირის დასაქმების შემთხვევაში, ბიზნესს დაუწესდება შეღავათები;
- საჯარო სამსახურში გაიზრდება შშმ პირების დასაქმების შესაძლებლობები;
- ადაპტირებული გარემოს შექმნა და სამედიცინოდან სრულ სოციალურ მოდელზე გადასვლა.

# ეთნიკური უმცირესობები

***მრავალეთნიკური ძლიერი საქართველო***

- პოლიტიკური გაძლიერების ხელშეწყობით, არადომინანტური ჯგუფების წარმომადგენლობის გაზრდა გადაწყვეტილების მიღებისა და აღსრულების პროცესში;
- ქართული ენის სწავლების გაძლიერება და ხელმისაწვდომობის გაზრდა სახელმწიფო დაფინანსებით და მრავალფეროვანი სერვისების მიწოდებით;
- მრავალეთნიკური რელიგიურ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება საერთო ეროვნული ღირებულების მინიჭებით.

# ქალები

***ძლიერი ქალი - ძლიერი საქართველოსთვის***

- ქალთა სიღარიბის დაძლევა ეკონომიკური გაძლიერებით, თანაბარი სახელფასო განაკვეთით და ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულებით;
- ქალთა მიმართ საზოგადოებასა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ უკომპრომისო ბრძოლა საკანონმდებლო და აღმასრულებელი გარანტიების უზრუნველყოფით;
- ქალთა პოლიტიკური გაძლიერება - მეტი ქალი ქვეყნის მართვის სადავეებთან!

# ახალგაზრდობა

***საქართველო - ახალგაზრდებისთვის შესაძლებლობის ქვეყანა***

- კურსდამთავრებულთათვის 6-თვიანი ანაზღაურებადი სტაჟირება საგანმანათლებლო დაწესებულებისა და საჯარო და კერძო სექტორების ურთიერთთანამშრომლობით;

- სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერა სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობითა და საშემოსავლო გადასახადებისაგან გათავისუფლებით; პროფესიული, საგანმანათლებლო სერვისცენტრებით დაფარვის გაზრდა რეგიონებში;

- საჯარო სექტორის  ეტაპობრივი და უმტკივნეულო გაახალგაზრდავება გამჭვირვალე და ობიექტური საკონკურსო პირობებით, ელიტური კორუფციისა და ნეპოტიზმის პრევენციით.

# ნარკოპოლიტიკა

- უკომპრომისო ბრძოლა ნარკოტიკული საშუალებების რეალიზატორებთან და სააფთიაქო ნარკომანიასთან;

- პირველადი პრევენციის ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვა; სპეციალურად გადამზადებული ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების რაოდენობის გაზრდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში;

- დასჯის პოლიტიკიდან მზრუნველობა-პრევენციაზე გადასვლა. სახელმწიფო ბალანსზე არსებული ნარკოლოგიური სივრცეების EU სტანდარტებთან დაახლოება. ნარკოდამოკიდებული პირებისთვის სამკურნალო და სარეაბილიტაციო რეგიონალური ცენტრების შექმნა.



# მიუსაფარი ცხოველები

***ახცეხთი მიუსაფარი ცხოველი მზრუნველობის გარეშე!***

- ადამიანის და ცხოველის ჰარმონიული თანაარსებობის უზრუნველყოფა ქმედითი საკანონმდებლო და აღმასრულებელი მექანიზმების შექმნით;
- პოპულაციის სისტემური მართვა-გამრავლების კონტროლი და სტერილიზაციის თანამედროვე სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;
- ცოფისა და სხვა საშიში დაავადებების გავრცელების პრევენცია თანმიმდევრული მიდგომით.

***„ძლიერი საქართველოს“ გუნდი  განაგრძობს პროფესიულ ჯგუფებთან თემატური შეხვედრებს და პროგრამის წარდგენას.***

***საპროგრამო დოკუმენტი ღიაა თქვენი შენიშვნებისთვის, რჩევებისა და რეკომენდაციებისთვის.***

# 9 ძლიერი საქართველო

**ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის**

ლელო საქართველოსთვის

ანა დოლიძე ხალხისთვის

ალეკო ელისაშვილი მოქალაქეები

თავისუფლების მოედანი

**რეალური ალტერნატივა**


დამკვეთი: მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!” (ს/ნ 415030264),
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, რკინიგზის ცენტრალური ვაგზალი, ნაკვ. 05/107;
რიგითი ნომერი: 9;

დამამზადებელი: შპს “პრინტარეა” (ს/კ 404384395)
მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. #47
ტირაჟი: 500
გამოშვების თარიღი: 27/09/2024